საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030158962396020

№ 01-581/ო **02 / დეკემბერი / 2020 წ.**

COVID-19-ის საეჭვო დიაგნოზის მქონე ბენეფიციარებისათვის COVID-19-ის სპეციფიკური ტესტირების ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ

,,ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის, ,,საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის და ,,საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. 2021 წლის 1 თებერვლამდე, კორონავირუსის განმსაზღვრელი ანტიგენის სწრაფი ტესტით ამბულატორიული ტესტირებისადმი საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, სერვისის მიმწოდებელად განისაზღვროს „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების ფარგლებში გეგმიური და გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრირებული სამედიცინო დაწესებულებები, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრები/სამსახურები და სხვა სამედიცინო დაწესებულებები, რომლებიც დარეგისტრირებული არიან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში სწრაფი მარტივი ტესტირების სერვისის მიმწოდებლებად.

2. ამბულატორიულ ტესტირებას ექვემდებარებიან ოჯახის ექიმის ან ეპიდემიოლოგის მიერ რეფერირებული ან თვითდინებით მისული შესაბამისი სიმპტომების მქონე პაციენტები, რომელთა აღრიცხვის ერთადერთ ფორმად განისაზღვროს „სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების და მიწოდების წესის შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 25 მარტის № 01-26/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,COVID-19-ზე ტესტირების აღრიცხვის ელექტრონული მოდული” - ფორმა IV-14/2.

3. COVID-19 პჯრ და/ან Antigen სწრაფი ტესტით ამბულატორიული ტესტირებისთვის საკვლევი ნიმუშის ამღებ ერთ პირზე სამუშაო დღის განმავლობაში ტესტირების ზღვრული ოდენობა განისაზღვროს არა უმეტეს 50 ერთეულით.

4. ამბულატორიული ტესტირების სერვისის მიმწოდებელი ვალდებულია Antigen სწრაფი ტესტით დადასტურებული შემთხვევები დაუყოვნებლივ დაარეგისტრიროს ელექტრონულ სისტემაში და ინფორმაცია გადასცეს ოჯახის ექიმს, რომელმაც განახორციელა პაციენტის რეფერალი ტესტირებისთვის, ასევე, პაციენტს.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანვე.

ხელმოწერილია/

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

ელექტრონულად

ეკატერინე ტიკარაძე